

- მოზარდის გამოზრდა ფერმერის საქმიანობაში ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო პროცესია.
- მასზე დიდადაა დამოკიდებული ნახირის მომავალი პროდუქტიულობა და წარმოებიდან მიღებული შემოსავალი.
- ცუდად გამოზრდილი, დაკნინებული მოზარდიდან, რამდენადაც კარგი ჯიშის არ უნდა იყოს ვერ მიიღება დიდტანიანი და მაღალპროდუქტიული ფური.
- საკუთარი პირუტყვის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ფერმერმა უნდა დაიწყოს ხბოს სწორი გამოზრდით.



- მომავალ ხბოზე ზრუნვა იწყება ფურის კარგი სანაშენე ღირსების ბუღასთან შეწყვილებით.
- ჯანმრთელი ნაყოფის მისაღებად ფური დაგრილებაზე სასურველია გაშვებული იქნეს მოგებიდან 45-60 დღის შემდეგ.
- ნაყოფის ნორმალური განვითარებისთვის ფური განსაკუთრებულად უნდა იკვებებოდეს დაბალანსებული ულუფით, საჭიროა მოგებამდე მისი 50-60 დღით ადრე გაშრობა, რადგან ამ პერიოდში ნაყოფი ცოცხალ მასაში ინტენსიურად მატულობს.



- საქართველოში ძირითადად ფურების დახბოიანებას სეზონური ხასიათი აქვს და ადრე გაზაფხულზე იწყება, შესაბამისად მაკეობის პერიოდი ზამთარს ემთხვევა, როდესაც პირუტყვის კვება ყველაზე მწირია.
- ცუდად ნაკვები ფურების ხბოები კი როგორც წესი სუსტები იბადებიან და ხშირად ავადდებიან. ამიტომ მშრალობის პერიოდში ფური ისე უნდა იკვებებოდეს რომ სხეულში დაგროვდეს იმ რაოდენობით საზრდო და მინერალური ნივთიერებების მარაგი, რაც უზრუნველყოფს კარგად განვითარებული ხბოსა და მომავალ ლაქტაციაზე მაღალი მონაწველის მიღებას.





- ხშირად, ხბოს მოგება (დაბადება) ღამით ან დილით ადრე ხდება, რის გამოც ხშირად ფური და ხბო ყურადღებას მოკლებულია.
- ფურს სამშობიაროდ ესაჭიროება იზოლირებული ბაგა, ე.წ. ბოქსი სადაც ცხოველი მოგების წინ გადაგვყავს და დაახლოებით 10 დღით რჩება დაუბმელად მოგებამდე.





- სამშობიარო ბოქსში ცხოველის შეყვანამდე აუცილებელია ჩატარდეს დეზინფექცია, მშრალი ქვეშაფენის დაფენა. ფური უზრუნველყოფილი უნდა იყოს ასევე საკვებითა და წყლით .
- ხბოს მიღება უნდა მოხდეს ჰიგიენურ გარემოში, დახმარების გარეშე თუ ნაყოფს ნორმალური მდგომარეობა აქვს, მშობიარობის გაჭიანურებისა და გართულებისას კი საჭიროა კვალიფიციური დახმარება.







- ხბოს დაბადების შემდეგ ნესტოებსა და პირის ღრუს უსუფთავებენ ლორწოსგან, ჭიპლარს გადაჭრიან 10-12 სმ-ის დაშორებით, რომელსაც ამუშავებენ ანტისეპტიკური ხსნარებით ( იოდი, იოზეპი, ჩემი სპრეი..... ) შემდეგ დედას აძლევენ საშუალებას გალოკოს ხბო, რაც მნიშვნევანია როგორც ფურის ასევე ხბოს ჯანმრთელობისთვის







- იმ შემთხვევაში თუ ფერმერი ხბოს დედასთან არ ტოვებს გამშრალების შემდეგ გადაყავთ ინდივიდუალურ გალიაში, ქარისგან დაცულ ადგილას, გალიის ქვეშაფენი უნდა იყოს მუდმივად მშრალი და რბილი.



- ოპტიმალური ტემპერატურა ახალშობილი ხბოსთვის არის 18-20 გრადუსი, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების მიხედვით უკვე დიდი უპირატესობა ენიჭება ხბოს გამოზრდას ე.წ. „ცივი“ მეთოდით.

ამ მეთოდის გამოყენებით ინდივიდუალური გალიები იდგმება ფერმის შენობის გარეთ ნახევრად ღია ან ღია მოედანზე, სადაც ხბოები გადაყავთ დაბადებისთანავე და ორი თვის განმავლობაში, ნებისმიერ ამინდში სუფთა ჰაერზე ამყოფებენ. ასეთი მეთოდით გამოზრდა უზრუნველყოფს ჯანმრთელი ცხვრის მიღებას.





- ხბოს გამოზრდა სამ პერიოდს მოიცავს:
- 1. ხსენის პერიოდი რომელიც 3-5 დღე გრძელდება
- 2. რძით კვების პერიოდი 6 თვის ასაკამდე
- 3. რძით კვების შემდგომი პერიოდი

- ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო ხსენით კვების პერიოდია, ამ დროს ხბოს ორგანიზმს სუსტი იმუნიტეტი აქვს და დიდია რისკი ხბოს დაავადების.





- პირველი დღის ხსენი 3-4 -ჯერ მეტ მშრალ მასას შეიცავს ვიდრე ჩვეულებრივი რძე.
- იგი მდიდარია ალბუმინებით, გლობულინებით, მინერალური ნივთიერებებით და ვიტამინებით რომლებიც ახალშობილის ზრდა-გავითარებისა და ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანია.
- ხსენი შეიცავს ლეიკოციტებს, ფერმენტებს ( კატალაზა, პეროქსიდაზას და სხვა ) იმუნურ სხეულაკებს, ანტიოქსიდანტებს, ლიზინს და ხსვა.
- ხსენი ამდიდრებს ახალშობილი ხბოს ორგანიზმს იმუნური სხეულებით.

- ხბოსთვის ხსენის მიწოდება საწოვარას საშუალებით რასაც ძირითადად მერძეული ინტენსიური ფერმები მიმართავენ ან დედასთან თავისუფალი მიშვებით, რაც მიღებულია ჩვენი ქვეყანაში მცირე ფერმებში.







დაბადების პირველ დღეებში მნიშვნელოვანია ხსენით კვება, ხსენი ხბოს დაბადებიდან 1-2 საათში ეძლევა მცირე ულუფებით დღეში 3-5 ჯერ .

- სხვადასხვა მიზეზით (მასტიტი, სხვადასხვა ინფექციები) ხსენის არქონის შემთხვევაში შეიძლება სხვა ფურიდან მიღებული გაყინვით დაკონსერვებული ხსენის გამოყენება ან მისი ხელოვნურად დამზადება. (1 ლიტრ 40-50 გრადუსის წყალს ემატება 10 გრ მარილი, ორი ახალი კვერცხი და ერთგვაროვანი მასის მიღებამდე კარგად ვურევთ, ასეთი ხსნარი მიეცემა ხბოს რძის დალევინებამდე ნახევარი საათით ადრე 10მლ 1 კგ ცოცხალ წონაზე გაანგარიშებით, ასეთი ნაზავით კვება გრძელდება დაახლოებით 3-5 დღე)



- ხბოს გამოზრდაში ასევე მნიშვნელოვანია ხსენის შემდგომი რძით კვების პერიოდი, რომლის დროსაც რძით კვება 2-3 თვეს გრძელდება.





- ხელზე გამოზრდისას მაშინ როდესაც არ მივმართავთ ფურზე წოვების მეთოდს ხბოს რძე უნდა მიეცეს საღი, ახალმოწველილი 38-40 გრადუსის ტემპერატურის, რადგან ასეთ რძეს გააჩნია ბაქტერიოციდული თვისებები და უნარი გაააქტიუროს მაჭიკის ფუნქცია.
- ჭურჭელი რითიც ხბოს ვკვებავთ უნდა იყოს სუფთა და ირეცხებოდეს ყოველი კვების დასრულების შემდეგ.
- ჭუჭყიანი ჭურჭლიდან კვება ხშირად მოზარდის კუჭ-ნაწლავის დაავადებების (დისპეფსია, ემერიხია, დიარეა) გამომწვევი მიზეზია.



- მერძეული მიმართულების ფერმები ხშირად მიმართავენ რძის ეკონომიის მიზნით ხბოს რძის შემცვლელით კვებას. ასევე ხბოს 1 კვირის ასაკიდან ეძლევა პრესტარტერი, მაღალხარისხიანი თივა, ქვამარილი და წყალი ნებაზე.
- წყალი მოზარდის ჯანმრთელობისა და პროდუქტიულობისათვის ისეთივე აუცილებელია, როგორც საკვები. მის ნაკლებობას ცხოველი უფრო ძნელად გადაიტანს ვიდრე შიმშილს, ამის გარდა იგი ხელს უწყობს საკვების შეთვისებას.
- წყალი ძუძუთა ხბოებს 3-5 დღიდან, კვებამდე 1 საათით ადრე ან კვების შემდეგ ეძლევა დაახლოებით 15-20 გრადუსის, საშუალოდ დღიურად საჭირო წყლის რაოდენობა უნდა შეადგენდეს სხეულის მასის 10%-ს



- თივასა და კონცენტრატზე ადრეული მიჩვევა აჩქარებს მოზარდის ფაშვის განვითარებას, რომელიც სწრაფად მატულობს მოცულობაში, უკეთესად ვითარდება მისი კუნთოვანი ნაწილი, ხაოები, რის გამოც ორგანიზმი კარგად ინელებს მოცულობიან, უჯრედანით მდიდარ საკვებს რაც მაღალპროდუქტიული ფურის ფორმირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.



- მცირე ზომის საოჯახო ტიპის ფერმებში კი რეკომენდირებულია უკვე 2 კვირის ასაკიდან ეზოს ახლო მდებარე სამოვარზე ხბოს ხანმოკლე დროით მოციონი, რადგან ნელ-ნელა მოვამზადოთ სამოვრისთვის და 3-4 თვის ასაკში როდესაც რძით კვებას დაასრულებს სრულყოფილად მოძოვოს სამოვარზე გადასვლის







- ხბოს გამოზრდაში მნიშვნელოვანია ერთი ასაკის ხბოები შევინახოთ ჯგუფურად, ფარდულებში, ღრმა ქვეშაფენზე, ხბოებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობის გარეშე.





მოზარდის ზრდა-  
განვითარებაზე ასევე  
კარგ გავლენას  
ახდენს მოძრაობა,  
სუფთა ჰაერი და  
მზის სხივები.





- სისტემატურად უნდა კონტროლდებოდეს ხბოს ზრდა-განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობა, დადგენილ ვადებში ტარდებოდეს გადამდებ დაავადებათა საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები.
- მოზარდის გამოზრდის დონის მაკონტროლებელია მისი კონსტიტუცია, ტემპერამენტი და ცოცხალი მასა ჯიშის შესაბამისად.

- ხბოს ზრდაში შეფერხების მრავალი ფაქტორი არსებობს, მათგან უმნიშვნელოვანესია დაავადებები, რომელთა პროფილაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.
- გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ასევე მნიშვნელოვანია ხბოს დაცვის მინიმალური მოთხოვნები საქართველოს მთავრობის #443 დადგენილებიდან, რომელიც ამოქმედდება 2028 წლის პირველი იანვრიდან